ოქმი №3

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2024 წლის 3 აპრილს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:30 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ბ. კალანდარიშვილი, ელ. ოდიშარია, ლ. ჯინორია, ბ. შარტავა, ზ. ნაჭყებია, ლ. კუჭავა, ბ. სოსელია, ს. ხუნწარია, ი. კაჭარავა.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირი: დ. ალანია. საკრებულოს წევრები: მ. ფირცხალავა. საკრებულოს თავმჯდომ,არე -ს. ოდიშარია; სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ი. კალანდარიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე – ბადრი კალანდარიშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ბ. კალანდარიშვილი
თანამომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: დ. ალანია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 9; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ბ. კალანდარიშვილი
თანამომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: დ. ალანია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა კომისიის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში – განმარტებითი ბარათი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია 2023 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულება შეფასდეს დადებითად.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 8, წინააღმდეგი – 1) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულება შეფასებულ იქნეს დადებითად.

2. ეთხოვოს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი, რათა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოესი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარე: ბადრი კალანდარიშვილი